

როგორ მივალნივით ფილების ფართს სასურველ წყობას

ღვინი აწარმოებს საუკეთესო ხარისხის მოსაპირკეთებელ და საგზინებლო პროდუქციას, რომლის გამოირჩევა სიმყარითა და გამძლეობით. თითოეული მათგანი: მიქსი, მოდარნი, ძველი ქალაქი, რომბი, პრომენადი და სხვა - იწარმოება გუნებრივი გზით მოპოვებული ნედლეულით

შეკვეთა

თუ მომხმარებელი შეკვეთილი პროდუქტის ათვისებას გეგმავს ეტაპობრივად, უმჯობესია კომპანიას საწყის ეტაპზე მიანდოს ინფორმაცია მთლიანი შეკვეთის მოცულობაზე, რათა შეკვეთა დამზადდეს წარმოების ერთი სერიიდან. ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა დროს წარმოებულ პროდუქტს შორის შესაძლოა, იყოს ფერთა მცირედი სხვაობა.

პროდუქტის შემოწმება მიწოდებისთანავე


მნიშვნელოვანია, რომ მიღებული პროდუქტი გამოყენებამდე გულდასმით შემოწმდეს, რათა შემდეგ ეტაპზე პრობლემის შექმნის ალბათობა აღმოიფხვრას დროულად. ნებისმიერი სახის დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, უმჯობესია მაშინვე აცნობოთ მომწოდებელ კომპანიას. თუ მომხმარებელი დათანხმდება ისეთი პროდუქტის მიღებას, რომელსაც დაგეგამდეს აშკარად გამოხატული ჰქონდა გარკვეული სახის დეფექტი, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მას.

ფილების დაბების პროცესი აერთიანებს, შეკვეთის მიღებას, და მის გამოყენებას კონკრეტული მიზნით.

როდესაც მომხმარებელი წინასწარ ინფორმირებულია ყველა საჭირო დეტალზე და აცხადებს თანხმობას ფილების დაგებაზე, ლევი აღარ იღებს პასუხისმგებლობას წარმოების სხვადასხვა სერიიდან შერჩეული ფილების ფერთა შორის შესაძლო სხვაობაზე ან ფერთა არასათანადო შერწყმაზე (იხილეთ ფოტო:1&2).

დაბება - ფერების სწორად შერწყმა

ფილების დაგებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფერების სწორად შერწყმა. მოპირკეთება რეკომენდირებულია რამდენიმე შეკვრიდან ერთდროულად ამოღებული ფილების შერევით. უფრო დეტალურად კი ამ პროცესის მართვა შესაძლოა შემდეგნაირად: მინიმუმ 3 პალეტიდან ნაწილ - ნაწილ ამოიღეთ ფილები, როგორც დიაგონალური, ასევე ვერტიკალური მიმართულებით. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ფერების, ტექსტურისა და ჩრდილების თანაბარ განაწილებას მთელ სივრცეზე.



ფოტო 1 - შეარჩიეთ ფილები 3 სხვადასხვა პალეტიდან



ფოტო 2 - შეარჩიეთ ფილები დიაგონალურად თითოეული პალეტიდან

რატომ არ უნდა დააგოთ ფილები ერთი შეკვრიდან მისი ფენა - ფენა ამოღებით

მოსაპირკეთებელი ფილა დამზადებულია პიგმენტებისა და ბუნებრივი წარმოშობის ნედლეულის გამოყენებით. ფერების შერევით მიღებული პროდუქტი, ე.წ. “ქოლორ მიქსი” შეიცავს ორი ან მეტი პიგმენტის კომბინაციას. ფილებზე პიგმენტის განაწილება წარმოების პროცესში ავტომატური მეთოდით ხდება, რის გამოც იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა ფილის ზედაპირზე ჭარბობდეს მუქი შეფერილობა (იხილეთ ფოტო: 3) ან პირიქით უფრო ღია ფერი (იხილეთ ფოტო: 4). სტანდარტულად ფილის ზედაპირზე ფერები ერთმანეთთან იდეალურადაა შერწყმული (იხილეთ ფოტო: 5). თუმცა რადგან პროცესი ავტომატურია, საწარმოო დაფაზე განლაგებულ ფილებზე შესაძლოა შეიქმნას ისეთი უბნები, სადაც პიგმენტის ერთი ფერი იქნება შედარებით ჭარბი რაოდენობით (იხილეთ ფოტო: 6). აქედან გამომდინარე, ფილების ერთი პალეტიდან თანმიმდევრობით ამოღება და დაგება ვერ შექმნის ფერების სასურველ კომბინაციას. ხოლო სწორი წესით დაგებული ფილები, იძლევა ფერების კარგად შერწყმის საშუალებას (იხილეთ ფოტო: 7).




ფოტო 3 - ფილა “ციტრინი”, ზედაპირზე ჭარბობს მუქი ფერი



ფოტო 4 - ფილა “ციტრინი”, ზედაპირზე ჭარბობს შედარებით ღია ფერი



ფოტო 5 - “ციტრინი”, ფილის ზედაპირზე თანაბრად განაწილებული ფერები (სტანდარტული შემთხვევა)




ფოტო 6 - "ობსიდიანის" ფილები სანარმოო დაფაზე



ფოტო 7 - ფილა "ობსიდიანი" - ფერების სწორი წყობა

დაზღვევის ხარისხის კონტროლი დაზღვევის პროცესის

ფილების მონტაჟის დროს დამგებმა ჯგუფმა რეგულარულად უნდა განახორციელოს ვიზუალური შემოწმება, რათა ფერები ერთმანეთს საჭირო კომბინაციით შეერწყას. მანამ, სანამ ფილები საბოლოოდ დაფიქსირება ზედაპირზე, რეკომენდირებულია კიდევ ერთხელ გადამოწმდეს მიღებული წყობა. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ ადგილას ფერებს არ ექნება სათანადო კომბინაცია, შესაძლებელია კონკრეტული ფილების გადანაცვლება სასურველი შედეგის მისაღწევად. ამ ეტაპზე კორექტირება ყველაზე სწრაფი და მოსახერხებელია. ხოლო, როდესაც ქვეშაგები უკვე დატკეპნილი და ფილები მასზე დაფიქსირებულია, ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს მეტ შრომას და უკავშირდება დამატებით ხარჯებს.



ფოტო 8 - ფერების არასწორი კომბინაცია - ნათელი ფერების სიჭარბე



ფოტო 9 - ფერების არასწორი კომბინაცია - მუქი ფერების სიჭარბე



ფოტო 10 - ფერების იდეალური კომბინაციის მაგალითი. წარმოდგენილია ფილა “ქარვას” ყველა ფერი და დაცულია ბალანსი.



ფოტო 11- ფერების იდეალური კომბინაციის მაგალითი. წარმოდგენილია ფილა “ოხსიდინის” ყველა ფერი და დაცულია ბალანსი.